



აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო  
 ACADEMIC BOARD OF AKAKI  
 TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59  
 მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 2173 ფაქსი (+995 331) 4 38 33  
 ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 აკადემიური საბჭო


11 აპრილი, 2023

დადგენილება № 56(22/23)  
 სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 მედლის - „საპატიო უნივერსიტეტელი“ - მიღების პირობებისა და წესის  
 დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 132/ნ ბრძანებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე - 8 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის ტ<sup>1</sup> ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლის - „საპატიო უნივერსიტეტელი“ - მიღების პირობები და წესი თანდართული ფორმით.
2. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
 უნივერსიტეტის რექტორი



ასოც. პროფ. შალვა კირთაძე

**მუხლი 1.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლის მიღების წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში უნივერსიტეტის მედლის - „საპატიო უნივერსიტეტელი“ მიღების პირობებს.

**მუხლი 2.**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი - „საპატიო უნივერსიტეტელი“ წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებულ საპატიო ჯილდოს.

**მუხლი 3.**

მედალი შეიძლება მიიღოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქემ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის:

3.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზაციული მოღვაწეობისათვის.

3.2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში და სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

3.3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებაში, საზღვარგარეთ საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენაში, უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

3.4. დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

**მუხლი 4.**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლის - „საპატიო უნივერსიტეტელი“- მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს, ან უნივერსიტეტის რექტორის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე.

**მუხლი 5.**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლის - „საპატიო უნივერსიტეტელი“- მიღების შესახებ წარდგინება და გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს, ამ დადგენილებების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ერთ მოთხოვნას მაინც.

**მუხლი 6.**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლის - „საპატიო უნივერსიტეტელი“- მიღებაზე პირის წარდგენა ხდება ამ პირის სიცოცხლეში.

**მუხლი 7.**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი - „საპატიო უნივერსიტეტელი“- არ შეიძლება მიიღოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე (რექტორი, კანცლერი, რექტორის მოადგილე, დეკანი, დეკანის მოადგილე, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) მყოფ პირებს, ასევე აკადემიური საბჭოს წევრებს, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს და წევრებს, მათ მიერ ხსენებულ უფლებამოსილებათა შესრულების პერიოდში.

**მუხლი 8.**

დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

**მუხლი 9.**

დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.